ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 24

ქალაქი ქუთაისი 30 ოქტომბერი 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრის, ჯემალ ბიბილეიშვილის არჩევის

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის 1–ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის მე–6 პუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 37–ე მუხლის 1–ლი პუნქტის, 41–ე მუხლის 1–ლი პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 96-ე მუხლის, 102-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრის შედეგების შეჯამების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე:

მუხლი 1. არჩეულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრი, ჯემალ ბიბილეიშვილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრის შედეგების შეჯამების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის სხდომის ოქმი №5 წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ჯემალ ბიბილეიშვილის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საკრებულოს კომისიის თავმჯდომარისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის ოდენობით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ გიორგი ჭიღვარია

საქართველო ქ. ქუთაისის
საკრებულო
გას. № 24
3 11 2025 წ.